სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/14 § 22-02 2021 წ. 350

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი;
2. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებები, პროექტის შეფასების კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი"-ს შესახებ აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილებით;
3. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2021 წლის 15 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 10^{00} სთ.-დან 16^{00} სთ.-მდე, მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59, აწსუ-ს XXII (საბიბლიოთეკო) კორპუსი, აუდ. №22204. საკონკურსო დოკუმენტაციას სარეგისტრაციოდ წარადგენს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
4. საგრანტო კონკურსის მიმართულებაა: COVID-19-ის შედეგების სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური რენოვაცია;
5. საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვროს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

6. საპროექტო განაცხადის დოკუმენტაცია უნდა ჩაბარდეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით მყარ დისკზე (CD/DVD), რომელიც ელექტრონულად აიწყობა Word-ს დოკუმენტში, A4 ფორმატის ფურცლის ზომებში, არე მარცხნიდან - 3 სმ, ზევიდან - 2 სმ, ქვევიდან - 2 სმ და მარჯვნიდან - 2 სმ. ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.15 (Single), სათაურებსა და ტექსტს შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალი; დოკუმენტის შრიფტი - Sylfaen, ზომა - 12;
7. პროექტების შეფასება შიდასაფაკულტეტო კომისიის მიერ განხორციელდეს 2021 წლის 24-25 მარტის ჩათვლით, ხოლო 2021 წლის 26 მარტს გამოცხადეს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები;
8. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 29-30 მარტი, ხოლო აპელაციის შედეგები გამოცხადდეს 31 მარტს. სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
9. კონკურსის პირველი ეტაპის საბოლოო შედეგების მიხედვით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტების შეფასება განხორციელდეს 2021 წლის 5-8 აპრილს, ხოლო 2021 წლის 12 აპრილს გამოცხადდეს კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები;
10. კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 15-17 აპრილი. სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
11. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2021 წლის 20 აპრილს;
12. გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 2021 წლის 26 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით;
13. გამარჯვებული საგრანტო პროექტ(ებ)ის განხორციელება დაიწყოს 2021 წლის 4 მაისს;
14. კონკურსის შესახებ ინფორმაცია („სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი“, „პროექტის სააპლიკაციო ფორმა“ და „პროექტის ბიუჯეტის ფორმა“) გამოქვეყნდეს აწსუ-ს ვებგვერდზე (http://atsu.edu.ge) და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.
15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი: **პროფ. როლანდ კოპალიანი**

დეკანი: **პროფ. ნანა შონია**